



საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

დასკვნის წარდგენის თარიღი

05/02/2026

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი	9
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	11
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	21
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	24
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	26
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	31

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	შპს კავკასიის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205050567
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რევაზ ტაბატაძე, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ჯოჯუა, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ინგლისური ფილოლოგია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	English Philology
უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0231 ენის დაუფლება Language Acquisition
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N146, 02.07.2019
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

კავკასიის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს (წელიწადში – 60 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30 ECTS კრედიტს), აქედან:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები/საგნები მოიცავს 145 ECTS კრედიტს: 115 ECTS კრედიტი ეთმობა დარგობრივ და პროფესიულ სავალდებულო სასწავლო კურსებს, ხოლო 30 ECTS კრედიტი ეთმობა ზოგად და პროფესიულ ინგლისურ ენას;
- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო-არჩევითი სასწავლო კურსები/საგნები მოიცავს 30 ECTS კრედიტს, რომელთაც სტუდენტი ირჩევს პროგრამით შემოთავაზებული 90 ECTS კრედიტიდან;
- თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები/საგნები მოიცავს 65 ECTS კრედიტს, რომლებიც შემდეგი სახით არის განაწილებული: 25 ECTS კრედიტი ეთმობა ზოგადსაუნივერსიტეტო სასწავლო კურსებს; 20 ECTS კრედიტი ეთმობა მეორე უცხო ენას; 20 კრედიტი ეთმობა თავისუფალი კომპონენტის არჩევით საგნებს.

პროგრამა ითვალისწინებს გარკვეული სასწავლო კურსების ინგლისურ ენაზე განხორციელებას. კერძოდ: ინგლისური ენის ფონეტიკა 1; ინგლისური ენის ფონეტიკა 2; ინგლისური ენის გრამატიკა 1; ინგლისური ენის გრამატიკა 2; ლექსიკოლოგია; მეტყველება და საჯარო გამოსვლის ტექნიკა.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

კავკასიის უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილებასთან დაკავშირებით, 2025 წლის 22-25 დეკემბერს განხორციელდა უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი და შეფასება.

ანალიზის პროცესში შეფასდა შემდეგი ქვესტანდარტები:

1.1. პროგრამის მიზნები

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

4.1 ადამიანური რესურსი

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

აღნიშნული წარმოების ფარგლებში პროგრამაში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები. კერძოდ:

1. დაზუსტდა პროგრამის მეორე მიზანი;
2. მოდიფიცირდა საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები;
3. მოდიფიცირდა საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა. კერძოდ, სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკიდან ორი საგანი გადავიდა არჩევითი საგნების ბლოკში, ხოლო სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკს დაემატა სამი საგანი: ლათინური ენა, სოციოლინგვისტიკა და სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი. აღნიშნული ცვლილების შედეგად, შეიცვალა კრედიტების განაწილება სავალდებულო და არჩევითი სტატუსის მქონე საგნებს შორის. კერძოდ, სავალდებულო სტატუსის მქონე საგნების კრედიტების ჯამური მოცულობა გაიზარდა 5 ECTS კრედიტით და გახდა 190 ECTS, ხოლო არჩევით სტატუსის მქონე საგნების მოცულობა შემცირდა 5 ECTS კრედიტით და გახდა 50 ECTS კრედიტი.

პროგრამის განვითარების მიზნით გაიცა 4 რეკომენდაცია და 2 რჩევა.

მივიჩნევთ, რომ პროგრამის დეკლარირებული მიზნების, სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების გათვალისწინებით შესაძლებელია შეიცვალოს პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია.

▪ რეკომენდაციები

- რეკომენდებულია სწავლის შედეგების #3 და #4 უფრო მკაფიოდ და ლაკონურად ჩამოყალიბება; კერძოდ მათში რეალიზებული შედეგების განსხვავებული სპეციფიკის გათვალისწინება და განმეორებითი ფრაზების ამოღება, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის უფრო ზუსტ გაზომვას. (1.2)
- რეკომენდებულია სწავლის შედეგების შეფასების ინდიკატორების დახვეწა და მათი თითოეულ შედეგთან ზედმიწევნით შესაბამისობაში მოყვანა. (1.3)
- რეკომენდებულია პროგრამის დარგობრივი და პროფესიული სავალდებულო საგნების ბლოკში ინტეგრირდეს საგანი „ბრიტანული კულტურა“. (1.4)
- რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსებში ინტეგრირებული ცოდნის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები და მოერგოს მათ სპეციფიკას. (1.5)

▪ რჩევები

- სასურველია გადაიხედოს პროგრამაში ინტეგრირებული სასწავლო კურსების კრედიტების მოცულობა და საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა. (1.5)
- სასურველია პროგრამის განხორციელებაში ჩართოს უცხოელი პერსონალი. (4.1)

- საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად:
 - პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა;
 - სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;
 - აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);
 - ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესის სასწავლო წლების მიხედვით;
 - თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁴
- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

კავკასიის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია დეტალურად იქნა განხილული და გაანალიზებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ, პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, სასწავლო კურსების შინაარსისა და სტრუქტურის (ქვესტანდარტები - 1.1; 1.2; 1.3; 1.4; 1.5; 4.1) ჭრილში.

ექსპერტთა შეფასებით, წარმოდგენილი არგუმენტები არ ცვლის იმ არსებით აკადემიურ და მეთოდოლოგიურ მოსაზრებებს, რომელთა საფუძველზეც გაცემული იქნა რეკომენდაციები და რჩევები.

⁴ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფი კვლავ მიიჩნევს, რომ:

- სწავლის შედეგების ფორმულირებისა და მათი შეფასების მექანიზმების დახვეწა აუცილებელია შედეგების გაზომვადობისა უზრუნველსაყოფად;
- პროგრამის შინაარსობრივ ლოგიკასა და დარგობრივ სპეციფიკასთან უკეთ შესაბამისობის მიზნით მიზანშეწონილია სავალდებულო საგნების ბლოკში სასწავლო კურსის „ბრიტანული კულტურა“ ინტეგრირება;
- სასწავლო კურსებში გამოყენებული შეფასების ფორმები და კრიტერიუმები საჭიროებს დამატებით გადახედვას მათი სპეციფიკისა და ცოდნის რელევანტურად შეფასების უზრუნველსაყოფად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს უსდ-ის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას გაცემული რეკომენდაციებისა და რჩევების შესახებ.

ამავე დროს, ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ *შესაძლებელია პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილება.*

- ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	მეტწილად შესაბამისობაშია
1.1	პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	მეტწილად შესაბამისობაშია
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	მეტწილად შესაბამისობაშია
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	მეტწილად შესაბამისობაშია
1.5	სასწავლო კურსი/საგანი	მეტწილად შესაბამისობაშია
2.	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	აირჩიეთ შესაბამისი
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	აირჩიეთ შესაბამისი
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	აირჩიეთ შესაბამისი
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	აირჩიეთ შესაბამისი
2.4	სტუდენტების შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი
3.	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	აირჩიეთ შესაბამისი
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	აირჩიეთ შესაბამისი
3.2	მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	აირჩიეთ შესაბამისი
4.1	ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.2	მაგისტრანტისა ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	აირჩიეთ შესაბამისი
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	აირჩიეთ შესაბამისი
4.4	მატერიალური რესურსი	აირჩიეთ შესაბამისი
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	აირჩიეთ შესაბამისი
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	აირჩიეთ შესაბამისი
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი
5.2	გარე ხარისხის შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო

რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე
შეფასების კრიტერიუმები

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის ანალიზის შედეგების მიხედვით, ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება ინგლისური ფილოლოგიის სფეროში.

პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია და ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებაზეა პროგრამა ორიენტირებული; კერძოდ, პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს ერთიანი ევროპული ჩარჩოთი (CEFR) დადგენილი C1 დონის შესაბამისი ინგლისური ენის კომპეტენციის მქონე კურსდამთავრებული, რომელიც ასევე ამჟღავნებს საფუძვლიან ცოდნას ინგლისური ლინგვისტიკის, ლიტერატურისა და კულტურის სფეროში, ამასთანავე, პროგრამა მიზნად ისახავს კურსდამთავრებულებში ტექსტის ანალიზის, ინტერპრეტაციისა და აკადემიური კომუნიკაციის უნარების გამომუშავებას, რაც სავსებით შეესაბამება სწავლის სფეროს, საბაკალავრო საფეხურისა და პროგრამის თავისებურებებს,

პროგრამის მიზნები ასევე მოიცავს კურსდამთავრებულის ზოგადფილოლოგიურ და ზოგადკულტურულ პრობლემებზე პროფესიული მსჯელობისა და ანალიზის უნარით, ასევე, პროფესიული პასუხისმგებლობისა და აკადემიური კეთილსინდისიერების გრძნობით აღჭურვას, რაც ასახავს თუ რა წვლილს შეიტანს კურსდამთავრებული პროგრამას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში სამომავლოდ.

პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიასა და სკოლის პრიორიტეტს, რაც ითვალისწინებს განათლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფით ქვეყანაში არსებული ინტელექტუალური გამოწვევებისთვის კურსდამთავრებულების მომზადებას, რომლებიც დააკმაყოფილებენ როგორც ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ასევე უპასუხებენ საერთაშორისო ტენდენციებს პროგრამაში დასახული ინტერნაციონალიზაციის ასპექტების მეშვეობით (მაგ. ისეთი სასწავლო კურსების შინაარსი, როგორიცაა „საერთაშორისო ორგანიზაციები“, „კულტურათაშორისო კომუნიკაციის საფუძვლები“ და სხვ. ასევე,

განმახორციელებელი პერსონალის აქტიური ჩართულობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და სამეცნიერო კონფერენციებში და სხვ.).

პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია, რასაც უზრუნველყოფს მათი განთავსება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისური ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა;
- კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ვებ-გვერდი: <https://cu.edu.ge/ka/schoolss/csh/programs-csh/undergraduate-csh/csh-eng-bach>
- კავკასიის უნივერსიტეტის მისია, ხედვა, ფასეულობები: <https://www.cu.edu.ge/ka/about-us/about-the-university/mission-cu>

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩამოყალიბებულია მისანიჭებელი კვალიფიკაციის- ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი, დეტალური სფეროს აღმწერისა (ენის დაუფლება- 0231) და პროგრამაში დასახული მიზნების შესაბამისი სწავლის შედეგები, რომლებიც რეალისტურია და მოიცავს იმ აუცილებელ ცოდნასა და უნარებს, რაც ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრმა უნდა გამოამჟღავნოს; კერძოდ, ა) ინგლისური ენის

სტრუქტურის, ისტორიისა და თეორიის, ასევე ინგლისური ლიტერატურის, კულტურისა და მათი ზოგადევროპული კონტექსტის საფუძვლიანი ცოდნა და ინგლისურ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის. ისევე, როგორც დონის შესაბამისი კვლევის უნარები.

თუმცა, პროგრამის უნარების აღწერაზე ორიენტირებულ შედეგებში გაერთიანებულია რამდენიმე სხვადასხვა სპეციფიკის უნარი: მაგალითისათვის, სწავლის შედეგი #4 „**გამართულად წარმართავს ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას** სამიზნე აუდიტორიასთან; ავლენს და პრაქტიკაში იყენებს ათვისებულ ცოდნას, და მონაწილეობს დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიისა და შესაბამისი საკომუნიკაციო-საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით; ასრულებს **კვლევით ან პრაქტიკული ხასიათის** ნაშრომს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად“ აერთინებს კვლევის, ასევე წერითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარებს. კვლევისა და კომუნიკაციის უნარები მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს ცალ-ცალკე, რადგან ისინი განსხვავებულ კოგნიტურ და პრაქტიკულ კომპეტენციებს მოიცავს და სხვადასხვა შედეგების გაზომვას მოითხოვს.

პირველ რიგში, კვლევის უნარები უკავშირდება ანალიტიკურ აზროვნებას, მეთოდოლოგიურ ცოდნასა და მონაცემებთან მუშაობის შესაძლებლობას, ხოლო კომუნიკაციის უნარები — ინფორმაციის გასაგებად, სტრუქტურირებულად და აუდიტორიის მიხედვით გადაცემას. ერთი უნარის განვითარება ავტომატურად არ უზრუნველყოფს მეორის სრულფასოვან ფლობას. მათი გაერთიანება ართულებს სწავლის შედეგების მკაფიოდ განსაზღვრასა და შეფასებას, რაც პროგრამაზე თანდართულ სწავლის შედეგების მექანიზმების შეფასების დოკუმენტში იკვეთება (იხ. 1.3).

გარდა ამისა, სწავლის შედეგი #3 „**გამართულად საუბრობს და არგუმენტირებულად მსჯელობს მშობლიურ და ინგლისურ ენაზე როგორც წერითი, ისე ზეპირი კომუნიკაციის დროს;** მსჯელობს დარგობრივ საკითხებზე და არგუმენტირებულად ასაბუთებს მოსაზრებებს; ლინგვისტურ და ლიტერატურასთან დაკავშირებულ საკითხებს აანალიზებს ათვისებული თეორიული ცოდნის საფუძველზე; ასევე, აყალიბებს, აანალიზებს, ინტერპრეტირებს და განმარტავს ფილოლოგიურ საკითხებს ინგლისის ზოგადი ისტორიულ-კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით“- მოიცავს რამდენიმე განმეორებით ზმნას- (მაგ., „არგუმენტირებულად“, „ანალიზებს“, ასევე, ფრაზა „ **განმარტავს ფილოლოგიურ საკითხებს ინგლისის ზოგადი ისტორიულ-კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით**“- მსგავს შინაარსს შეიცავს, რაც გადმოცემულია შედეგში #2: „აღწერს და მსჯელობს ლიტერატურისა და კულტურის განვითარების ზოგადევროპულ კონტექსტზე“.).

ეს ყოველივე კი ართულებს სწავლის შედეგის ნათლად აღქმას და მისი მიღწევის ზუსტ შეფასებას:

შესაბამისად, დაინტერესებული პირების მიერ პროგრამის სწავლის შედეგების უკეთ აღსაქმელად და კონკრეტული შედეგების მიღწევის უფრო ზუსტად გასაზომად მიზანშეწონილია სწავლის შედეგების უფრო მკაფიო და გაზომვადი ინდიკატორებით ჩამოყალიბება.

სწავლის შედეგები შეესაბამება სწავლის სფეროს სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს, და უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის დასაქმების შესაძლებლობას; კერძოდ, კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ დასაქმდნენ ორგანიზაციებში, სადაც მოთხოვნადია ინგლისური ენისა და ლიტერატურის კომპეტენცია (მედია, გამომცემლობები, ტურისტული და ფინანსური სექტორი), ასევე საელჩოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისური ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიმართება და მათი მიღწევის შეფასების დონეები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია სწავლის შედეგების #3 და #4 უფრო მკაფიოდ და ლაკონურად ჩამოყალიბება; კერძოდ მათში რეალიზებული შედეგების განსხვავებული სპეციფიკის გათვალისწინება და განმეორებითი ფრაზების ამოღება, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის უფრო ზუსტ გაზომვას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	მეტწილად შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.

➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინგლისური ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ეფუძნება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს. პირდაპირი შეფასება მოიცავს პროგრამის კომპონენტების სტუდენტების მიერ ათვისების და სავალდებულო შედეგების მიღწევის დაკვირვებას. შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: თითოეული სავალდებულო კურსის შედეგი მიიჩნევა მიღწეულად, თუ ჯგუფში (არანაკლებ 10 სტუდენტი) მინიმუმ 80%-ს აქვს გადალახული კომპონენტით განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და მინიჭებული კრედიტი. ერთზე მეტი ჯგუფის არსებობის შემთხვევაში, შედეგი გამოითვლება ჯგუფების საშუალო არითმეტიკული მიხედვით. თითოეული სასწავლო კურსის შეფასება განსაზღვრავს, რომელი კომპონენტებით ფასდება შედეგი (ქვიზი, ტესტირება, შუალედური/დასკვნითი გამოცდა, რეფერატი, პრეზენტაცია და სხვა).

არაპირდაპირი შეფასების ინსტრუმენტებია:

- სტუდენტების დინამიკა და ჩარიცხვა;
- პროგრამის დასრულების მაჩვენებელი;
- მობილობის მაჩვენებელი;
- კურსდამთავრებულთა დასაქმება სპეციალობის მიხედვით;
- დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, პერსონალი, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვის შედეგები (ელექტრონული ან „მრგვალი მაგიდა“).

დაკვირვება ხორციელდება ყოველწლიურად, შედეგები ანალიზდება, რის საფუძველზეც განისაზღვრება შემდგომი განვითარების სტრატეგია და რეაგირების ნაბიჯები.

თუმცა აღსანიშნავია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინდიკატორების განსაზღვრისას გამოვლენილი მცირედი უზუსტობები, რომელთა დაკორექტირებაც, პროგრამის სწავლის შედეგების უფრო ზუსტ გაზომვას უზრუნველყოფს. კეროდ,

პროგრამის სწავლის შედეგი #3 – „**გამართულად საუბრობს და არგუმენტირებულად მსჯელობს მშობლიურ და ინგლისურ ენაზე როგორც წერითი, ისე ზეპირი კომუნიკაციის დროს**“ აკონკრეტებს მშობლიურ ენაზე მსჯელობასა და არგუმენტირებას, თუმცა სწავლის შედეგების შეფასების ინდიკატორებში არ ფიქსირდება მშობლიურ ენაზე კომუნიკაციის შემფასებელი ინდიკატორი, მხოლოდ მითითებულია სამიზნე ენაზე გამართული მეტყველება და წერა.

აღსანიშნავია, რომ სწავლის შედეგი #4 ში („**გამართულად წარმართავს ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას სამიზნე აუდიტორიასთან, ავლენს და პრაქტიკაში იყენებს ათვისებულ ცოდნას, და მონაწილეობს დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიისა და შესაბამისი**

საკომუნიკაციო-საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით...“) დაფიქსირებული ზეპირ კომუნიკაციაზე ორიენტირებული შედეგის შეფასების ინდიკატორიც შედეგების შეფასების დოკუმენტში ნათლად არ იკვეთება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისური ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამის და სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიმართება და მათი მიღწევის შეფასების დონეები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია, სწავლის შედეგების შეფასების ინდიკატორების დახვეწა და მათი თითოეულ შედეგთან ზედმიწევნით შესაბამისობაში მოყვანა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	მეტწილად შესაბამისობაშია

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ევროპული ტრანსფერის სისტემის შესაბამისად.

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30 ECTS კრედიტს. უფრო კონკრეტულად, საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს/საგნებს (145 ECTS კრედიტი): 115 ECTS კრედიტი ეთმობა დარგობრივ და პროფესიულ სავალდებულო სასწავლო კურსებს, ხოლო 30 ECTS კრედიტი ეთმობა ზოგად და პროფესიულ ინგლისურ ენას;
- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსებს/საგნებს (30 ECTS), რომელთაც სტუდენტი ირჩევს პროგრამით შემოთავაზებული 90 ECTS კრედიტიდან;

თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები/საგნები მოიცავს 65 ECTS კრედიტს, რომლებიც შემდეგი სახით არის განაწილებული:

- 25 ECTS კრედიტი ეთმობა ზოგადსაუნივერსიტეტო სასწავლო კურსებს;
- 20 ECTS კრედიტი ეთმობა მეორე უცხო ენას;
- 20 ECTS კრედიტი ეთმობა თავისუფალი კომპონენტის არჩევით საგნებს.

შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით.

სემესტრი მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს. აკადემიური წელი არის სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვენების პერიოდი. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და საბოლოო შეფასებისათვის, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისა და პრეზენტაციისათვის განკუთვნილ საათს).

პროგრამით გათვალისწინებული საგნები შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამა მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ საგნებს, რაც პროგრამის მიზანს ეხმიანება - მოამზადოს მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები ინგლისურ ფილოლოგიაში. უფრო კონკრეტულად, პროგრამის მიზანია სტუდენტს გადასცეს ინგლისური ფილოლოგიის სპეციალისტისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარები, რაც მოიცავს ინგლისური ენის მაღალ, პროფესიულ დონეზე შესწავლას (C1), ინგლისური ლიტერატურისა და კულტურის კომპლექსურ შესწავლას, ასევე, ტექსტის ინტერპრეტაციის, ლინგვისტური ანალიზისა და ლიტერატურული კრიტიკის უნარის განვითარებას.

გარდა ამისა, პროგრამა ითვალისწინებს გარკვეული სასწავლო კურსების ინგლისურ ენაზე განხორციელებას. ეს სასწავლო კურსებია:

- ინგლისური ენის ფონეტიკა 1;
- ინგლისური ენის ფონეტიკა 2;
- ინგლისური ენის გრამატიკა 1;
- ინგლისური ენის გრამატიკა 2;
- ლექსიკოლოგია;
- მეტყველება და საჯარო გამოსვლის ტექნიკა.

პროგრამის ერთ-ერთი დეკლარირებული მიზანია „გადასცეს სტუდენტს ინგლისური ფილოლოგიის კომპეტენციისათვის საჭირო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, შეასწავლოს ინგლისური ენის სტრუქტურა, ლინგვისტიკის საფუძვლები, **ინგლისური ლიტერატურა, ისტორია და კულტურა**. შეასწავლოს ინგლისური ენა და განუვითაროს ერთიანი ევროპული ჩარჩოთი (CEFR) გათვალისწინებული ოთხივე კომპეტენცია (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი)“.

გარდა ამისა, პროგრამის მეორე სწავლის შედეგის ერთ-ერთი მთავარი ფოკუსია **ინგლისურ კულტურასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა და განზოგადება**. თუმცა, პროგრამის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ ამ ტიპის კომპეტენციას პროგრამა წარმოდგენილი კურიკულუმის საფუძველზე, ფაქტობრივად, ვერ უზრუნველყოფს. უფრო მეტიც, ენის დაუფლების აღმწერში იკითხება: „ის მოიცავს შესაბამისი **კულტურის**, ლიტერატურის, ლინგვისტიკის და ფონეტიკის შესწავლასაც...“.

შესაბამისად, რეკომენდებულია პროგრამის დარგობრივი და პროფესიული სავალდებულო საგნების ბლოკში ინტეგრირდეს საგანი „ბრიტანული კულტურა“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- სილაბუსები;

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია პროგრამის დარგობრივი და პროფესიული სავალდებულო საგნების ბლოკში ინტეგრირდეს საგანი „ბრიტანული კულტურა“.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	მეტწილად შესაბამისობაშია

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

